ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7106807

ნომერი: AR11043829

თარიღი : 24.06.2024

გაცემის თარიღი : 01.07.2024

გაცნობის თარიღი : 01.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ზემო ფონიჭალა , კორპუსი 20 , მიმდებარედ (ნაკვეთი 37/017);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 24 ივნისის №AR11043829 განცხადებით მომართა კირილე მორჩილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7075984 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა: 7485.71 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 1784.21 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1204.98 კვ.მ., საერთო ფართობად: 11317.58 კვ.მ. ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა დამხმარე ფართობი: 46.34 კვ.მ. გარდა ამისა, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდა ღია ავტოსადგომების ფართობი: 342.5 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ბრძანების ნომერი „№7075984“-ის ნაცვლად დაფიქსირებულია „№707598“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 11 ივნისის №7075984 ბრძანებაში. შესაბამისად, სარეზოლუციო ნაწილშიც უნდა დაფიქსირებულიყო „№7075984“. თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანების ნომერი არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში, ბრძანების ნომრად „№707598“-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: „№7075984“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7094177 და 2024 წლის 11 ივნისის №7075984 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.